პროფესიული მოდულის – „კომუნიკაცია ქართულ ენაზე“ გზამკვლევი

ავტორები: თინა ცერაძე
თამარ ჯაყელი

სარჩევი

შესავალი ----------

ნაწილი I. სასწავლო პროცესის დაგეგმვა ----------

ნაწილი II. მეთოდიკური ორიენტირები ----------

თავი 1 - ზოგადი მეთოდოლოგიური რეკომენდაციები

თავი 2 - ტიპობრივი აქტივობები

თავი3- სიტყვის ძალა

თავი 4. ამბავი სიყვარულისა

თავი 5. ადამიანი საზოგადოებაში

თავი 6. სწავლა-განათლება და აღზრდა

თავი 7. კონფლიქტები და ცვლილებები

დანართი

DVD დისკი

შესავალი

გზამკვლევი განკუთვნილია პროფესიული სასწავლებლების ინტეგრირებული ზოგადი მოდულის - კომუნიკაცია ქართულ ენაზე - მასწავლებლებლებისთვის. მისი დანიშნულებაა, ხელი შეუწყოს მასწავლებლებს მოდულის შედეგებზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში.

მოდულის შედეგები, ანუ მოდულის ბოლოს მისაღწევი მიზნები, ფოკუსირებულია იმ უნარებსა და ინტელექტუალურ-შემეცნებით ძალებზე, რომელთა განვითარება აუცილებელია სტუდენტების საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულყოფილი ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად, ასევე განათლების მომდევნო საფეხურზე განათლების მისაღებად.

გზამკვლევში წარმოდგენილი მასალა ორიენტირებულია კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარების განვითარებაზე, ასევე სხვადასხვა ტიპის, სახისა და ფორმატის ტექსტების შედგენის უნარების განვითარებაზე. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ გზამკვლევით განსაზღვრული სწავლა-სწავლების პროცესისტუდენტთაუნარების, მათი ინტელექტუალურ-შემეცნებითი ძალების განვითარებაზეა ფოკუსირებულიდა არა სასწავლო მასალისა თუ ტექსტებისდიდი რაოდენობით დასწავლაზე. სწორედ ესაა ინტეგრირების საფუძველიც: მოდულის შესწავლის გზით პროფესიულ სასწავლებელთა სტუდენტები, ფუნქციური კომუნიკაციისთვის აუცილებელი უნარების გარდა, გამოიმუშავებენ უნარებს, რომლებიც საჭიროა სხვადასხვა ტიპის ტექსტების გაგება-გააზრებისა თუ შედგენისთვის, ინტერპრეტაციისა და შეფასებისთვის, საკუთარი პოზიციის გამოხატვისთვის, დასკვნების გამოტანისა და დასაბუთებული მსჯელობისთვის.ამ უნარების განვითარება ხელს შეუწყობს სტუდენტებს პროფესიულ ზრდასა და პროფესიული წარმატების მიღწევაში; ამას გარდა, მისცემს სტუდენტებს იმის საშუალებასაც, რომ სურვილის შემთხვევაშიგააგრძელონ სწავლა უმაღლეს სასწავლებელში.

<u>გზამკვლევის სტრუქტურა და შინაარსი</u>

გზამკვლევიორ ნაწილადაა დაყოფილი. მას ახლავს ასევედამატებითი რესურსები: დანართი და dvd-დისკი (მათ შესახებ იხ. ქვემოთ).

I ნაწილი

გზამკვლევის პირველ ნაწილში მოცემული მოდულის „კომუნიკაცია“ თემატიკის (შინაარსობრივი საკითხების) საფუძველზე სწავლა-სწავლების პროცესის აგების სარეკომენდაციო გზა. ეს გზა ორ მიმართულებად იყოფა: ერთია ძირითადი სასწავლო ერთეულების – თემების სწავლა-სწავლების პროცესის დასაგეგმად საჭირო რეკომენდაციები, მეორე კი – კურსის ფარგლებში ცალკეული სასწავლო აქტივობების განხორციელების რეკომენდაციები.

II ნაწილი

გზამკვლევის მეორე ნაწილის საწყისი ორი თავი ზოგადი ხასიათისაა. პირველ თავში წარმოდგენილია ზოგადი მეთოდოლოგიური შენიშვნები, რომლებიც მასწავლებელს დაეხმარება სტუდენტსა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვაში.ამავე ნაწილის მეორეთავში მოცემულიატიპობრივი აქტივობები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი სასწავლო თემის შესწავლისას.

<u>სასწავლო თემები</u> გზამკვლევის მეორე ნაწილი ორგანიზებულია სასწავლო თემების მიხედვით. სულ მასში წარმოდგენილია 5 სასწავლო თემა, რომლებიც შეესაბამება საბაზო და საშუალო საფეხურების ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტით განსაზღვრულ სამივე თემატურ ბლოკს (იხ. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა (2018-2024 წწ.), საბაზო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტი, http://ncp.ge).
მოვიყვანთ წინამდებარე გზამკვლევში წარმოდგენილი თემებისა და ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის თემატური ბლოკების შესაბამისობის ცხრილს (იხ. ქვემოთ, ცხრილი 1.).

ცხრილი 1.

პროფესიული სასწავლებლების გზამკვლევი (5 სასწავლო თემა)	საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტი (3 თემატური ბლოკი)
III თავი. სიტყვის ძალა	III თემატურიბლოკი -მარადიული ძიებები
IV თავი. ადამიანი საზოგადოებაში	I თემატურიბლოკი -ადამიანი და მისი ცხოვრ
V თავი. ამბავი სიყვარულისა(ადამიანის შინაგანი სამყარო)	I თემატურიბლოკი -ადამიანი და მისი ცხოვრ
VI თავი. სწავლა-განათლება და აღზრდა	II თემატურიბლოკი -სამყაროს შეცნობა, ახლი ძიება
VII თავი. კონფლიქტები და ცვლილებები	I თემატურიბლოკი -ადამიანი და მისი ცხოვრ

სასწავლო თემები წარმოადგენს შინაარსობრივ კონტექსტებს, რომლებიც იძლევა მოდულის ყველა შედეგის მრავალმხრივად და სიღრმისეულად დამუშავების შესაძლებლობას (სტუდენტების ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დაყრდნობით). თითოეული თემის ფარგლებში გზამკვლევში მოწოდებულია: თემატური საკვანძო კითხვები,

მრავალფეროვანი რესურსები შესაბამისი კითხვებითა და დავალებებით, აქტივობები/ქვიზები, ენობრივი ცოდნისა და უნარების განვითარებაზე ორიენტირებული მითითებები და ინსტრუქციები, შეფასების ინსტრუმენტები. თითოეულ სასწავლო თემაში მუშავდება მოდულის ყველა შედეგი.

<u>რესურსები</u>თითოეულითემის ფარგლებში გზამკვლევში შეთავაზებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები: სხვადასხვა ტიპის, სახისა და ფორმატის ტექსტები. ისინი დეტალურადაა დამუშავებული: ახლავს უცნობ სიტყვათა განმარტებები, კითხვები, დავალებები, სხვ.

უკლებლივ ყველა თემის ფარგლებში სასწავლო რესურსების ძირითად ჯგუფს ქმნის ქართული ლიტერატურა: სხვადასხვა ეპოქის მხატვრული და არამხატვრული ტექსტები. მათთან ერთად მოწოდებულია ასევე სხვადასხვა ეპოქის უცხოური ლიტერატურის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების თარგმანები. ბეჭდური ტექსტების გარდა, თითოეული თემის ფარგლებში შეთავაზებულია ასევე სხვადასხვა ჟანრის მულტიმედიური რესურსები (ქართული და უცხოური). ვფიქრობთ, ეს დაეხმარება სტუდენტებს, განივითარონ მოდულისშედეგებით განსაზღვრული უნარები მრავალმხრივიპერსპექტივიდან - სხვადასხვა ეპოქისა თუ კულტურის კონტექსტში, რაც უფრო მრავალფეროვანს გახდის მათ სასწავლო გამოცდილებას, განუვითარებს ინტერკულტურულ კომპეტენციას, აუმაღლებს მულტიმედიური წიგნიერების დონეს.

სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე, ტექსტების ნაწილი ადაპტირებულია ან/და შემოკლებული, ზოგიერთ შემთხვევაში ტექსტიდან შეთავაზებულია ცალკეული ფრაგმენტები/თავები. ქართული კლასიკური მწერლობის ნიმუშების ადაპტირებული ვერსიები გზამკვლევში შეთავაზებულია ალტერნატიული ვარიანტების სახით - სტუდენტთა საჭიროებების შესაბამისად, მასწავლებელს შეუძლია მათ შესთავაზოს სრული ვერსიები.

სტუდენტთა სააზროვნო უნარების განვითარების ხელშესაწყობად ყველა ზემოთ მითითებული რესურსი შეძლებისდაგვარად მრავალმხრივად და სიღრმისეულად მუშავდება შეკითხვებითა და დავალებებით.

გზამკვლევის მეორე ნაწილში შეკითხვებთან ერთად მოწოდებულია საორიენტაციო/სავარაუდო პასუხები, ნიმუშის საჩვენებლად შევსებულია სამუშაო ცხრილები და ა.შ.

<u>საინტერპრეტაციო ან/და პირადი მოსაზრებისა თუ დამოკიდებულების გამოსახატავად დასმულშეკითხვებზე პასუხები მოწოდებულია მხოლოდ და მხოლოდ შესაძლო ვარიანტების სახით და მათი მიზანია მასწავლებელთა უკეთ ორიენტირება. დაუშვებელია, რომ მასწავლებელმა სწავლა-სწავლების პროცესში გზამკვლევში საორიენტაციოდ შეთავაზებული პასუხები თავს მოახვიოს სტუდენტებს. სწავლა-სწავლების პროცესში მისაღები იქნება ყველა</u>

<u>პასუხი (მათ შორის, გზამკვლევში შეთავაზებულისგან სრულიად განსხვავებულიც), რომლებიც სათანადოდ იქნება ახსნილი და დასაბუთებული.</u>

<u>*აქტივობები*</u>თითოეული სასწავლო თემის ფარგლებში, გარდა რესურსებისა, წამოდგენილია მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობები და ქვიზები, რომელთა მიზანია სტუდენტთა ფუნქციური კომუნიკაციის უნარების განვითარება. მათი გამოყენება ამასთანავე დაეხმარება მასწავლებელს სწავლების დიფერენცირებაში.

აქტივობები დეტალურადაა გაწერილი და სტრუქტურირებულია საერთო რუბრიკებით. ეს რუბრიკებია:

- **აქტივობის შესახებ** (საჭიროებისამებრ) - როდის (/რა ეტაპზე) არის მიზანშეწონილი აქტივობის ჩატარება;
- **რესურსები** - მითითებულია აქტივობის ჩასატარებლად საჭირო რესურსები;
- **აქტივობის ორგანიზების ფორმა** - (მაგ., ინდივიდუალური, ჯგუფური);
- **აქტივობის აღწერა** - ამ რუბრიკაში დეტალურადაა აღწერილი აქტივობის მიმდინარეობის პროცესი;
- **მეთოდური მითითებები** (საჭიროებისამებრ);
- **რეკომენდაციები შეფასებისათვის** - ამ რუბრიკაში განმარტებულია, თუ რა ცოდნასა და უნარებს აფასებს აქტივობა მოდულის შედეგებსა და შესრულების კრიტერიუმებთან მიმართებით;
- **იდეები დამატებითი აქტივობებისათვის** - ეს რუბრიკა მასწავლებელს აძლევს აქტივობისგავრცობა-გაფართოების საშუალებას (როგორც შემოთავაზებული ტექსტის/საკითხის ფარგლებში, ისე მის ფარგლებს გარეთ);
- **დამატებითი აქტივობების/დავალებების კავშირი შედეგებთან** - ამ რუბრიკის ფარგლებში ნაჩვენებია, კონკრეტულად, რომელი შედეგის მოთხოვნებს პასუხობს ესა თუ ის დამატებითი აქტივობა/დავალება.

<u>*ენობრივი ცოდნა და უნარები*</u> ენობრივი ცოდნის შეძენასა და ენობრივი უნარების განვითარებაზე მუშაობამიმდინარეობს შეთავაზებულ კონტექსტებზე დაყრდნობით, ფუნქციურ ჭრილში. ცალკეული თემის ფარგლებში დასახელებულია ენობრივი ფორმულები, კონსტრუქციები და საკითხები, რომლებიც პრიორიტეტულია მოცემული თემის შესწავლისას. ამას გარდა,ენობრივი უნარების ავტომატიზაციისა და ენობრივი ცოდნის გაღრმავების ხელშესაწყობად გზამკვლევში დამატებით მითითებულია მასალა დამხმარე რესურსებიდან. აღნიშნული რესურსებიდან კონკრეტული სავარჯიშოების შერჩევისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს სტუდენტთა საჭიროებები.

<u>*შეფასება*</u>მასწავლებელთა უკეთ ორიენტაციის მიზნით აქტივობებთან მითითებულია, მოდულით განსაზღვრულ რომელ უნარებს განავითარებს მისი შესრულება (რუბრიკები: კავშირი მოდულის შედეგებთან, რეკომენდაციები შეფასებისთვის).

თითოეულ რესურსს ახლავს მიმდინარე დავალებების ჩამონათვალი, ხოლო ყოველი სასწავლო თემის დასასრულს მოყვანილია კომპლექსური შემაჯამებელი დავალებების ჩამონათვალიც(შესაბამისი შეფასების სქემებით). როგორც წესი, შემაჯამებელი დავალებები მოდულის ერთ ან ორ შედეგს მიემართება, მაგრამ თავიანთი კომპლექსური ბუნებიდან გამომდინარე, ისინი ააქტიურებს მოდულის შედეგებით გათვალისწინებული უნარების დიდ უმრავლესობას.

ვფიქრობთ, რომ ალტერნატიული დავალებების არსებობა სწავლების დიფერენცირების კარგ შესაძლობლობას მისცემს სტუდენტსა თუ მასწავლებელს. სტუდენტს შეუძლია ამ ჩამონათვალებიდან შეარჩიოს ის დავალებები, რომლებიც უკეთ შეესაბამება მის ინტერესებსა და საჭიროებებს. მათიშერჩევა სტუდენტებს შეუძლიათდამოუკიდებლად ან მასწავლებლის დახმარებით (დეტალურად სასწავლო პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდისა და შეფასებების ტიპების შესახებ იხ. I თავი, რუბრიკა: შეფასება).

<u>დანართი (სტუდენტების სამუშაო ფურცლები თემების მიხედვით)</u>დანართში თავმოყრილია გზამკვლევის მეორე ნაწილში წარმოდგენილი დავალებებისა და აქტივობების განსახორციელებლად საჭირო მასალები, რომლებიც სტუდენტებისთვისაა გამიზნული და ორგანიზებულია კონკრეტული სასწავლო თემების (მე-3-მე-7 თავების) შესაბამისად. ესენია: ბეჭდური ტექსტები, ვიზუალური რესურსები:სლაიდები/ფოტოები,კითხვარები/ქვიზები, ტესტები, ცხრილებიდა ა.შ.

სტუდენტთა სამუშაო ფურცლები დანართში მოწოდებულია იმ სახით, რომლითაც ისინი, ამობეჭდვის შემდეგ, უნდა მიეწოდოს მათ.როგორც უკვე ითქვა,იგივე მასალაგზამკვლევის II ნაწილში დამუშავებული სახით მიეწოდება მასწავლებელს (შევსებულია ცხრილები, მითითებულია შესაძლო/საორიენტაციო პასუხები და ა.შ.).

<u>dvd-დისკი</u> dvd-დისკზე მოთავსებულია მულტიმედიური რესურსები - აუდიოვიზუალური ტექსტები, რომლებიც გამოიყენება ამა თუ იმ თემის შესწავლისას. მასალები დისკზე ორგანიზებულია გზამკვლევის თავების შესაბამისად (მათიგამოყენების თაობაზე იხ.I თავი, რუბრიკა: მულტიმედიური რესურსები და მათი გამოყენება).